ხელშეკრულება№138
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

15 სექტემბერი 2016 წელი

ქ. ცაგერი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ცაგერის მუნიციპალიტეტი (შემდგომში- შემსყიდველი) ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის რევაზ ბენიძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ამერაუდიტ 2008""** (შემდგომში – მიმწოდებელი), **დირექტორის დეზდემონ მაღლაკელიძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სახსრებიდან (01 05 აუდიტორული მომსახურების ხარჯი) ფინანსური ანალიზისა და ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტები **(კლასიფიკატორის კოდი 48440000)** საბუღალტრო ,აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები **(კლასიფიკატორის კოდი 79200000)** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ს[1]" პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.შესყიდვის ობიექტი

2.1 **შესყიდვის ობიექტია ბუღალტრულ აღრიცხვაში გამარტივებული კომპიუტერული პროგრამების დანერგვა და სწავლება. პრაქტიკული დახმარება კომპიუტერულ პროგრამებში, ოპერაციების შეტანაში და 2014-2015 წლების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების შედგენაში.**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 4000 (ოთხიათასი) ლარს. (ფინანსური ანალიზისა და ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული პაკეტები (კლასიფიკატორის კოდი 48440000) - **450ლ;** საბუღალტრო ,აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები (კლასიფიკატორის კოდი 79200000)-**3550ლ**)

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **ორ ეტაპად 2016 წლის 31 დეკემბრამდე.**

5.1.1 1-ლი ეტაპი: პროგრამის შემუშავება და დანერგვა, 2014 წლის ბალანსი.მიწოდების ვადა 2016 წლის 1 ნოემბერი;ღირებულებით - 2500(ორიათას ხუთასი) ლარი;

5.1.2 მე-2 ეტაპი: 2015 წლის ბალანსი -მიწოდების ვადა 2016წლის 31 დეკემბერი; ღირებულებით - 1500(ერთიათას ხუთასი) ლარი;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია:ქ. ცაგერი რუსთაველის №64

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქ.ცაგერი

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- პასუხისმგებელია წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე, 2014 წლის 1 იანვრისათვის ძირითადი საშუალებების, მატ.ფასეულობების, საცნობარო მუხლების, მოთხოვნებისა დავალდებულებების აუდიტორისათვის წარდგენილი მონაცემების ნაშთების სისწორეზე;
- სავალდებულო და პასუხისმგებელი გახადოს საბუღალტრო დარგის სპეციალისტები აუდიტორების მითითებებისა და დავალებების ზედმიწევნით სწორად და თავის დროზე შესრულებაში.
- აუცილებლობის შემთხვევაში ცალკეულ საკითხების ოპერატიული გადაწყვეტის მიზნით აუდიტორების მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს დარგის სპეციალისტების(სპეციალისტის) მივლინება ქ.ქუთაისში აუდიტორული ფირმის ოფისში.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივების მიზნით შეიმუშავოს და დანერგოს გამარტივებული სახის აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამული პაკეტები.უზრუნველყოს მათი სწავლება.
- 2014-2015 წლების მიხედვით ბუღალტრული დოკუმენტაციის დამუშავებისა და სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მოწესრიგების და ფინანსური ანგარიშგების შედგენაში პრაქტიკული დახმარების გაწევა. ამასთან 2014-2015 წლების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების შედგენა.
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან **2016 წლის 31 დეკემბრამდე.**
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 იანვრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15..1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ცაგერის მუნიციპალიტეტი

მისამართი:

ქ. ცაგერი რუსთაველის ქ.№64

სახელმწიფო ხაზინა

სახაზ/კოდი: TRESGE22

ხაზინ.ანგ № 707017021

ს/კოდი: 242 574 460

მიმწოდებელი:

შპს „ამერაუდიტ 2008“

მისამართი:

ქ. ქუთაისი. დ. აღმაშენებლის გამზ.N125/57

ს/ს. „პროკრედიტ ბანკი“

ბ/კოდი: MIBGGE22

ა/ა № GE79PC0013600100034004

ს/კოდი: 212913481

17. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

რევაზ ბენიძე

/----------/

მიმწოდებელი:

შპს „ამერაუდიტ 2008“-ის დირექტორი:

დეზდემონ მაღლაკელიძე

/----------/